



მამა გაბრიელე ჭრაგანთინი

მხოლოდ ის გვეხმარება აღმასვლაში!

ცოტაც და ამ დაუვიწყარი 2020 წლის ზაფხულიც მიიღევა; ყველაფრის მიუხედავად, ჩვენმა ეკლესიამ მაინც შეძლო სხვადასხვა ინიციატივის განხორციელება ახალგაზრდებისთვის, ბავშვებისთვის, ოჯახებისთვის... ცხადია, ყოველთვის კორონავირუსისთვის საჭირო რეკომენდაციების გათვალისწინებით; გულწრფელი მაღლობა ყველას, ვინც მათ განხორციელებაში წვლილი შეიტანა; ამასთან, გველის კიდევ ერთი მნიშველოვანი მოვლენა - სინოდური შეკრება, რომელიც დაგეგმილია 11-12 სექტემბერს, წეროვანში; რაც მნიშვნელოვანი მომენტია საქართველოში ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში და უკვე რამდენიმე წელია ამ რეალობით ვცხოვრობთ. ამასთან დაკავშირებით, ალბათ, ჩვენი სამრევლოების მორწმუნეთა უმრავლესობას აინტერესებს, რამდენმა გასცა პასუხი კომისიის მიერ სინოდური შეხვედრისთვის მომზადებულ კითხვარს; სულ მოგვაწოდეს 271 ფურცელი, ზოგიერთი საკრებულოს სახელით; ჩვენი შეფასებით, დაახლოებით ოთხასი მორწმუნე დაფიქრდა სიწმინდის სხვადასხვა ასპექ-

ტზე; ზოგს შეიძლება ეს ციფრი ნაკლებად მოეჩვენოს, ზოგს მეტად... საინტერესოა ის, რომ ამ რიცხვების შეკრებით ერთ კარგ ათეულს მივიღებთ; და რას ადასტურებს ეს, რომ ყოჩალები ვართ პასუხების გაცემა-გააზრებაში?... ასეა თუ ისე, პასუხებიდან ჩანს, რომ, მართალია, წლევანდელი პასტორალური თემა „ვიყოთ წმიდანი საქართველოში“ კორონავირუსის პანდემიას დაემთხვა, სიწმინდისაკენ ამ მოხმობას მაინცადამაინც დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია; თუკი, სამწუხაროდ, ისევ განმეორდება ეს პერიოდი, დაგვამშვიდებს ის აზრი, რომ ამ ყველაფრის მიზეზი მსოფლიოს მმართველი, დემოკრატიულ პრინციპებზე მაღლა მდგომი ძალა და მათი კერძო ინტერესებია? თუნდ ასეც იყოს, ჩვენ კიდევ უფრო მეტად რთული და მომთხოვნი ვალდებულება გვექნება, რომ გადავარჩინოთ როგორც საკუთარი, ასევე, მთელი მსოფლიოს სიცოცხლე ამ ბატონების უგუნური ამბიციებისაგან! მაგრამ ჩვენი პირადი წმიდა ცხოვრება საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მათ თვალთმაქცობებს გაუმკლავდეს? რა იქნება რეალურად საჭირო? თუკი ბოლო თვეებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ყველანი ანომალიური და სრულიად უპრეცედენტო სოციალური ექსპერიმენტის ქვეშ ვიმყოფებოდით, რასაც ადგილი არ ჰქონია ტერორიზმის, ფინანსური კრიზისის, მემარჯვენეთა თუ მემარცხენეთა დიქტატურის დროსაც კი; პლანეტური მასშტაბით, არასოდეს არავის გაუბედავს

ადამიანის იმ კარდინალური უფლებების წინააღმდეგ ნასულიყო, როგორიცაა დროის და გადაადგილების შეჩერება, საზოგადოებრივი და სოციალური კავშირების გაწყვეტა. და ამ ვითარებაში გახდა კი მსოფლიო, კაცობრიობა უფრო წმიდა, უფრო პუმანური, უფრო თავისუფალი, უფრო პასუხისმგებელი? საინტერესოა, რა კვალი დატოვა შეჩერებულმა დრომ, თუ ვისწავლეთ რაიმე ახალი და უფრო მეტი, როგორც საკუთარ თავთან და სულიერებასთან მიმართებაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, სკოლასთან, მასმედიასთან, ეკლესიასთან მიმართებაში...

იმ ალბათობით, რომ პანდემიის პერიოდი შეიძლება განმეორდეს, უპრიანი ხომ არ იქნება განვაახლოთ მოწოდება: „წმიდანი პანდემიის დროს“, ვიპოვოთ ძალა და იმპულსი ამ დროულ და გაბედულ მოხმობაში? რა გვჭირდება დღეს, საკუთარ სახლში გამოკეტილებს, თუ არა სიწმინდე? დღეს, როცა ჩვენი მეზობელი მიიჩნევა საშიშად, როგორც სნეულების გადამდები, როცა *homo homini virus* - „ადამიანი ადამიანისათვის ვირუსია“, სიწმინდე წარმოადგენს „შესაძლებელს შეუძლებელში“, იმ ძლვენს და ისტორიულად და სოციალურად დასახარჯ ენერგიას, იმ ძალას, რასაც აშკარა ზღვარს მიღმა გადავყავართ: ჭეშმარიტ სწრაფვას შესაძლებლისაკენ; როცა ყველაფერი თავევე ეშვება, მხოლოდ ის გვეხმარება აღმასვლაში.

რა გვჭირდება დღეს, საკუთარ სახლში გამოკეტილებს, თუ არა სიწმინდე? დღეს, როცა ჩვენი მეზობელი მიიჩნევა საშიშად, როგორც სნეულების გადამდები, როცა *homo homini virus* - „ადამიანი ადამიანისათვის ვირუსია“, სიწმინდე წარმოადგენს „შესაძლებელს შეუძლებელში“.



ეროვნისა



**თარგმანი
რუსულად ავალიშვილება**

ეკუმენის ლოცვა მინისის კათოლიკურ ტაძარში

ევროპის კათოლიკურ ეპისკოპოსთა კონფერენციის ინიციატივით 18 აგვისტოს მინისის წმიდა სვიმონისა და წმიდა ელენეს კათოლიკურ ტაძარში სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის, იუდაიზმისა და ისლამის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა ბელარუსი ხალხის კეთილდღეობისთვის ერთობლივი ლოცვა აღვლინათ.

„ჩვენ ვგმობთ ძალადობისა და წამების ნებისმიერ ფორმებს, რომელთაც ხელისუფლება დაკავებული დემონსტრანტების მიმართ იყენებს. ასევე მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს ყველა უსაფრთხოდ დაკავებული“, - ნათქვამია კონფერენციის Justice et Pax აღმასრულებელი კომიტეტის განცხადებაში. კომიტეტმა ასევე მოუწოდა ყველა ქრისტიანს, შეუერთდეს ლოცვას ბელარუსი ხალხის კეთილდღეობისათვის.

„ძვირფასო დებონ და ძმებო! ჩვენს ისტორიაში ძალზე მძიმე ხანა დაგვიდგა. ისე მოხდა, რომ ძმამ ძმაზე ხელი აღმართა: ერთ ხელში ქვაა, მეორეში - თოფი. ჩვენ არ ვიცით, რა იქნება ხვალ. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ამ ბოროტების მოთოვეა. ამისთვის კი ლოცვაა საჭირო. წელს მეორედ ვიკრიბებით ამ ტაძარში ერთობლივი ლოცვისთვის. მარტში კორონავირუსის პანდემიის დასრულებისთვის ვლოცულობდით, დღეს კი იმისთვის ვლოცულობთ, რომ დასრულდეს სიცრუისა და სიძულვილის ეპიდემია, რომელიც ჩვენს ქვეყანას ანგრევს“, - აღნიშნა თავის სიტყვაში მთავარეპისკოპოსმა ტადეუქ კონდრუსევიჩმა.

ერისთავი ახალგაზრდები ბეირუთის ალდეგაში მონაცილეობა

ათასობით ახალგაზრდა ქრისტიანი ლიბანელი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის დედაქალაქის აღდგენაში. შეგახსენებთ, რომ ბეირუთის ნაგსადგურში 4 აგვისტოს ამონიუმის ნიტრატის აფეთქებას ორასი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, შვიდი ათასი ადამიანი დაშავდა. „ბეირუთელებს საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი და მედიკამენტები სჭირდებათ. ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის დახმარება მათვის აუცილებელია. ათასობით ახალგაზრდა ქრისტიანი გვეხმარება დაზარალებულთათვის პირველი საჭიროების საგრძნის, წამლებისა და საკვები პროდუქტების დროულად მიწოდებაში და ნანგრევებისა და ნაგვისგან ქალაქს ასუფთავებენ“, - აღნიშნა კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაციის Kirche in Not ბრიტანული განყოფილების ხელმძღვანელმა ნევილ კირკ სმითმა. კათოლიკური სკოლები, მონასტრები და ტაძრები უსახლკაროდ დარჩენილი ბეირუთელების თაგმესაფრად იქცა. „15 წელიწადი სამოქალაქო ომის პირობებში ვიცხოვრეთ, ახლა კი ეს წარმოუდგენელი საშინელება დაატყდა თავს ჩვენს ხალხს. დღეს ჩვენ დახმარება გვჭირდება. დიდად მადლიერნი ვართ ჩვენი მეგობრებისა ორგანიზაციიდან Kirche in Not თანადგომისთვის“, - აღნიშნა კეთილი მწყემსის გულმოწყვალების კონგრეგაციის მონაზონმა ჰანა იუსტმა.

უწმიდესმა პაპმა ლიბანის ეკლესიას 250 000 ევრო გადასცა. ადამიანის მდგრადი განვითარების დეპარტამენტის განცხადებით, „უწმიდესი მამის დახმარება განკუთვნილია ბეირუთის მკვიდრთათვის, რომლებიც აფეთქების შედეგად დაზარალდნენ“.

„გერმანიული მორჩეულები არ შეუჩიგლებიან სიღარიბების მსოფლიოში“

ნახევარი წლის განმავლობაში გერმანიის ეკლესიის მიერ სხვა ქვეყნებისთვის განვითარებაში დახმარებამ ნახევარ მილიარდ ევროზე მეტი შეადგინა. პირველ რიგში, გერმანელი კათოლიკები ეხმარებიან იმ ქვეყნების მკვიდრთ, რომელთაც საომარ მდგომარეობაში უწევთ არსებობა. გერმანიის ეკლესიის მესვეურობითა და ფინანსური დახმარებით განხორციელდა მრავალი საქველმოქმედო პროექტი აზის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. „გერმანელი მორნმუნები არ შეურიგდებიან სიღარიბეს მსოფლიოში. ეს მათი პრინციპია“, - აღნიშნა მსოფლიო ეკლესიასთან კავშირების კომისიის ხელმძღვანელმა, ბემბერგის მთავარეპისკოპოსმა ლუდვიგ შიკმა.

კათოლიკი იღრარქებმა უიგურების დევნა დაგეხვევის

სხვადასხვა რელიგიისა და აღმარებლობის სამოცდათექვსმეტმა ლიდერმა, მათ შორის, კენტერბერიის ყოფილმა მთავარეპისკოპოსმა როუენ უილიამსმა, იანგონის მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა ჩარლზ მაუნგ ბომ და ჯაკარტას მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა იგნაციუს სუპაირომ დაგმეს ჩინეთის ხელისუფლების ქვეყნის მუსლიმი უმცირესობის - უიგურთა წინააღმდეგ მიმართული ქმედებები. „ჰოლოკოსტის შემდეგ მსოფლიომ თქვა: აღარასდროს. დღეს ჩვენც ვიმეორებთ ამ სიტყვას - აღარასდროს. ჩვენ უიგურების გვერდიგვერდ ვდგავართ. ჩვენ ტიბეტის ბუდისტების გვერდიგვერდ ვდგავართ. ჩვენ ფალუნგუნის მიმდევართა და ჩინეთის ყველა ქრისტიანთან ვართ, რომლებიც „კელტურული რევოლუციის“ დროიდნ რელიგიური მრწამსის გამო სასტიკ დევნას განიცდიან. ჩინეთის ხელისუფალთა აშკარა მიზანი უიგურთა იდენტობის მოსპობაა. ჩინეთის სახელმწიფო მასმედიის განცხადებით, მიზანი მათი ფესვების ამოძირვა, მათი კავშირებისა და საწყისების მოსპობაა“, - ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.



24 ივლისს აია სოფიაში პირველი ჯუმა-ნამაზი აღვევის

10 ივლისს თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმად აია სოფიას ტაძარს მეჩეთის სტატუსი მიერინა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ საერთაშორისო საზოგადოებრიობის კრიტიკა გამოიწვია. „იუნესკოს გენერალური დირექტორი დამწუხებულია თურქეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო. „წმიდა სოფიას ტაძარი არქიტექტურის შედევრი და საუკუნეთა მანძილზე ევროპისა და აზის ურთიერთობათა უნიკალური მოწმობაა. მუზეუმის სტატუსი ტაძრის უნივერსალურ მემკვიდრეობას ასახავს და მას დიალოგის მძლავრ სიმბოლოდ აქცევს“, - აღნიშნა იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ოდრი აზულამ.

„ჩემი ფიქრი სტამბულისკენაა მიმართული. აია სოფიაზე ვფიქრობ და ძალზე დამწუხებული ვარ“, - აღნიშნა უწმიდესმა პაპმა 12 ივლისს, საკვირაო წირვის შემდეგ.





ქარიაშვილის ზეცად აღყვანება (აღმოსავლურ ტრადიციაში - მიძინება) უდიდესი დღესასწაულია და მე-6 საუკუნიდან 15 აგვისტოს აღნიშნება კათოლიკე ეკლესიაში. „მარიამის სხეული ასცდა საფლავს, არ განიცადა ხრისტიანება და ატაცებული იქნა ზეცაში სულითა და სხეულით“, როგორც აღნიშნა მეუფე ჯუზეპემ თავის ქადაგებაში.

საკათედრო ტაძრის მრევლისთვის ეს დღე ორმაგად უფრო ძვირფასია. ამ დღიდღესასწაულისათვის მზადება ჩვენს ტაძარში რამდენიმე კვირით ადრე დაიწყო. წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის ვიკარიუსმა მამა პაატა ქომოშვილმა

დღესასწაულთან დაკავშირებით Facebook-ის გვერდზე ჩაწერა ონლაინ მედიტაცია ჩვენი ტაძრის მრევლის რამდენიმე წევრის მონაწილეობით. მათ შორის, ეს პატივი მეც მხვდა წილად. 15 აგვისტოს ყველას მიეცა მისი მოსმენის საშუალება.

„საბას“ ერთგულმა მკითხველმა იცის, რომ ყოველ წელს, ტრადიციულად, საკათედრო ტაძრის მრევლი დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე აწყობს ექსკურსიას. ამჯერად გავემგზავრეთ ქარელის რაიონში მდებარე მე-13 საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლის ყინწვისის სამონასტრო კომპლექსის დასათვალიერებლად, რომ-

ლის ნაგებობათაგან დღემდე თითქმის თავდაპირველი სახით შემორჩა წმ. ნიკოლოზის ტაძარი, ულამაზესი ფრესკებით, ანგელოზის, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის, აგრეთვე საიდუმლო სერობის გამოსახულებით. კომპლექსის ნაგებობათაგან შემორჩა აგრეთვე დღისმშობლის ეკლესიის ნანგრევები (ფრესკებითა და კანკელით). აღნიშნული ეკლესიებისა და მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ ფეხით ავედით „კეთილი ავაზაკის“ სამლოცველომდე, რომელიც მშენებლობის პროცესშია. იქ დაგვხვდნენ ბერ-მონაზვნები, რომლებმაც თბილად მიგვიღეს

თინა კოკოჩაშვილი

და ხილით გაგვიმასპინძლდნენ. ექსკურსიის ლოგიკური დასასრული კი იყო ძმური ტრაპეზი, თბილისიდან ჩამოტანილი უხვი საგზლით, რომელიც ტყეში გაიშალა. მეუფემ მადლობა გადაუხადა ყველა დამსწრეს და აღნიშნა, რომ ერთად ყოფნა ქალაქიდან მოშორებით აღრმავებს საკრებულოს ერთობას ქრისტეში, აახლოებს მრევლს ერთმანეთთან და აუცილებელია ყოველი საკრებულოს ცხოვრებაში.

15 აგვისტოს წმიდა წირვამ კი მოლოდინს გადააჭარბა, ძალიან ლამაზ, ამაღლებულ და ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ყვავილებით მორთული ტაძარი მრევლს ვერ იტევდა. წირვას, რომელსაც უძლვებოდა ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, ესწრებოდა წმიდა საყდრის დესპანის მდივანი მეუფე ჯუზეპე; სხვადასხვა საკრებულოდან მოსული მღვდლები, დიაკონები, სემინარისტები და სტუმრები. გალობებს ასრულებდა საკათედრო ტაძრისა და წმიდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს ეკლესიის გუნდი. ძღვენთა მომზადების დროს მომღერალ-



მა და კონცერტმაისტერმა ქ-მა მანონ ყუბანეიშვილმა შეასრულა ბახის „ავე მარია“, რამაც კიდევ უფრო დაამშვენა ეს დიდებული დღე.

მეუფე ჯუზეპემ მისთვის ჩვეული აკადემიური ოსტატობით წარმოთქმულ პომილიაში მოიყვანა ციტატა ვატიკანის მეორე კრების დოგმატური კონსტიტუციიდან Lumen Gentium ნეტარი ქალწული მარიამის როლის შესახებ კაცობრიობის გამოხსნის განგებულებაში: „წმ. მარიამი, პირველი ადამიანთა შორის, ამაღლდა ჩვენთვის საუკუნო ცხოვრების გაგრძელების იმედად.“ და, ასევე, პაპ ბენედიქტე XVI-ის გამონათქვამი: „ქრისტეს აღდგომის გარეშე შეუძლებელია მარიამის ზეცად ალყვანების დღესასწაულის არსში ჩაწვდომა“.

ქადაგების შემდეგ მამა ზურაბმა წაიკითხა მეუფის მიერ გამოცემული დეკრეტი ზიარების ძველი წესის აღდგენის შესახებ საქართველოს ყველა კათოლი-

კურ საკრებულოში. ამ სასიხარულო ამბავმა კიდევ უფრო მეტი ელფერი შესძინა მარიამის დიდდონესასწაულს. წირვის დასასრულს მეუფეს დღესასწაული მიულოცეს მორნმუნებმა და წმიდა საყდრის მდივანმა. საპასუხო სიტყვაში მეუფემ აღნიშნა, რომ საკათედრო ტაძრის მრევლს აქვს განსაკუთრებული მისია, ილოცოს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სხვა საკრებულოებისათვის.

დღესასწაული გაგრძელდა კურის ქვედა დარბაზში, სადაც სამრევლო საბჭოს წევრთა მიერ დიდი მზრუნველობითა და სიყვარულით მომზადებული გემრიელი კერძებით გაუმასპინძლდნენ სტუმრებს. მადლობა ყველას, ვინც მცირედი წვლილი შეიტანა ამ უდავოდ ძვირფასი დღის კიდევ უფრო გალამაზებაში.

ფოტოები აღებულია საქართველოს კათოლიკე ახალგაზრდების ცენტრის არქივიდან



ექსკურსია მაგალის მონასტერში



მარგარიტა იუსანოვა
თარგმანი გიული გულუაძე

მონასტერში. გზად ვლოცულობდით; გადაუღებელი წვიმის შედეგად გზის გარკვეულ მონაკვეთზე ჩამოცვენილი ქვა და ლოდები აძნელებდა გადაადგილებას, თანაც ძალიან ცხელოდა. ბოლოს მივადექით მთაში, თვალწარმტაც ადგილას, ზღვის დონიდან 900 მეტრის სიმაღლეზე მდებარე მონასტერს. მამკოდის კომპლექსში შედის IX საუკუნეში აგებული ლვთისმშობლისა და წმიდა გიორგის ეკლესიები. მონასტრის დიდი ეზო, რომლის ორივე მხარეს კვიპაროსის ხეები იზრდება ორმაგ მწკრივად, ძალიან კარგად არის მოვლილი. აქედან შეგიძლიათ დატყებეთ ბუნების გასაოცრი სილამაზით, ტყეებით დაბურული მთებით. მონასტრის ბერები ძალზე გულთბილად შეგვხვდნენ. ვფიქრობ, რაც დრო გადის, ადამიანთა ცნობიერების დონე მაღლდება და ძალიან მაღა დადგება ჟამი, როდესაც, მიუხედავად კონფესიური განსხვავებისა, ადამიანები ბოლოს და ბოლოს მიხვდებიან, რომ ყველანი ძმები ვართ და ეს ძალიან მახარებს.

ლობელთა გუნდისთვის დასვენების საშუალება მიეცა, რაც დაგვეხმარებოდა შეზღუდვებით გამოწვეული დაძაბულობის მოხსნაში. გუნდი ძირითადად მრევლის უფროსი თაობის წარმომადგენლებისაგან შედგება. მას ხელმძღვანელობს ქორმაისტერი ქ-ნი კარინა, თავისი საქმის უბადლო მცოდნე; იგი ადვილად პოულობს საერთო ენას ადამიანებთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მუშაობის პროცესში. ორგანის დამკვრელია ქ-ნი ლილი. გუნდში მონაწილეობენ აგრეთვე ახალგაზრდებიც, ქალვანი, რომელთაც თავიანთი გალობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საეკლესიო ცხოვრებაში. ეს კოლექტივი არსებობისა და მოღვაწეობის 14 წელს ითვლის, მას გააჩნია საკმარისი გამოცდილება და ამ პერიოდის განმავლობაში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია.

18 ივლისს, შაბათს, ცამეტი წევრისგან შემდგარი ჩვენი გუნდი, მამა პაატასთან ერთად, გავემგზავრეთ თბილისთან ახლომდებარე მამკოდის მამათა

დიდხანს ვტკბებოდით ბუნების არაჩვეულებრივი ხედით. მინდორზე გავშალეთ სუფრა, ვილოცეთ, ვიმზარულეთ, გადავიღეთ სურათები... ამ დღეს მოგვეცა არაჩვეულებრივი საშუალება, უკეთ გაგვეცნო ჩვენი ახალი მოძღვარი მამა პაატა, რომელიც გვახალისებდა, გვიამბობდა საინტერესო, მხიარულ, ცხოვრებისეულ ისტორიებს. ბოლოს დავასუფთავეთ ტერიტორია; ალსანიშნავია, რომ ყველგან დგას ნაგვის ურნები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხალხი, სამწუხაროდ, მაინც ანაგვიანებს გარემოს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეკოლოგიური პრობლემები ახლა ძალზე მწვავედ დგას კაცობრიობის წინაშე. კათოლიკე ეკლესია, რომის პაპის წინამძღოლობით, ამის თაობაზე უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავს. ამიტომაც, უნდა ვიზრუნოთ დედა ბუნებაზე, რომელიც გვასაზრდოებს, გვიხანგრძლივებს უფლის მიერ ბოძებულ სიცოცხლეს, რომელიც ჩვენ უსასყიდლოდ მოგვეცა, ნიშნად სიყვარულისა.

ჭ.შ. მსურს ორიოდე სიტყვა გითხრათ ჩემი ოჯახის შესახებ, რომლისთვის ეკლესია



ყოველთვის იყო არსებობის განუყოფელი ნაწილი. უძველესი კათოლიკური ფესვებისა და ტრადიციების მქონე ჩემმა წინაპრებმა, რომლებიც წარმოშობით ირანიდან იყვნენ, კათოლიკობა ფრანგი მისიონერებისაგან მიიღეს, 1912 წელს კი იძულებით დატოვეს ირანი და საქართველოში ჩამოვიდნენ. ისინი თბილისში, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა კათოლიკურ ეკლესიაში მუდმივი მსახურები იყვნენ; საბჭოთა რე-

ჟიმის დროს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ, ხოლო 50-იან წლებში სტალინური რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ. ბიძაჩემს, დანიელ იუხანოვს, საკუთარი მანქანით ფარულად დაჰყავდა მამა ემანუელ ვარდიძე საქართველოს სხვადასხვა რაიონში ქრისტიანული რიტუალების შესარულებლად, ხოლო ბაბუაჩემს, მიხეილ იუხანოვს, 1963 წელს წილად ხვდა იმ დროისათვის განსაკუთრებული პატივი: მას წესი აუგეს და გაასვენეს წმ. მოციქულთა პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიიდან. 1995 წელს, მამა ბენიამინ ბეთ იადეგარის საქართველოში ჩამოსვლისთანავე, დაარსდა ასირიულ-ქალდეური კათოლიკური საკრებულო, რომლის მრევლიც გახლავართ დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ გავიზარდე წმ. მოციქულთა პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის წიაღში და, რითაც შემიძლია, დღესაც ვეხმარები მისი ეკლესის გუნდს, რეგულარულად ვესწრები რეპეტიციებს და თავს გუნდის წევრად მივიჩნევ.





5. ვიაროთ მუდამ... ისე, რომ არ დავკარგოთ შინაგანი საყრდენი წერტილები

იესო გვეუბნება: „შენ კი, როცა ლოცულობ, შედი შენს ოთახში, ჩაიკეტე კარი და ილოცე დაფარულში მყოფი შენი მამისადმი. და შენი მამა, რომელიც დაფარულში ხედავს, მოგიზღავს შენ“ (მათე 6:6).

ჩვენ, როგორც „უცხონი და მწირნი ამ ქვეყანაზე“ (ეპრ. 11:13), უნდა ვიპოვოთ შინაგანი საყრდენი, ადგილი, სადაც შევძლებთ ვიყოთ ის, ვინც ვართ. შეიძლება ასეთი საყრდენი იყოს ლოცვა, ქრისტესთან მეგობრული საუბარი?

მართალია, ჩვენი ნდობა ღვთისადმი მყიფეა, მაგრამ განა ეკლესია არაა ადამიანთა საზოგადოება, სადაც შეგვიძლია ერთმანეთს დავეყრდნოთ, გავუზიაროთ ჩვენი ეჭვები და საგონებელი, მხარი დავუჭიროთ ერთმანეთს ჩვენს ძიებაში?

თუკი კვლავ და კვლავ დავამყარებთ კავშირს ღმერთთან, ვპოვებთ დიად თავისუფლებას. თავისი სიყვარულით ღმერთს სურს გაგვათავისუფლოს საზოგადო თუ პირადი მონობისაგან, დაგვეხმაროს, რათა უარი ვთქვათ ყოველივეზე, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში.

როგორ შეგვიძლია ვიაროთ მუდამ ფესვებს მოუწყეტლივ? იქნებ საჭიროა, ჩვენს სულებში გაიზარდოს რწმენა იმისა, რომ ღვთის მეუფება უკვე ყლორტივით ამოიზრდება ჩვენში და ჩვენ შორის?

დიახ, სწორედ იქ ვპოვებთ სულის სიმშვიდეს. ეს შინაგანი მიზიდულობის ის ცენტრია, სადაც, როგორც იესო ამბობს, „პპოვებთ სულის სიმშვიდეს“ (მათე, 11:29).

და სულიწმიდა, სუნთქვა სიკეთისა, წაგვიძლვეს თუნდაც წყვდიადში...

თარგმანი ვერიკო ნოზაძე



წმიდა არს ღმერთი ჩემი!

მამა მისი სურავა


წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ღმერთი საბაოთ!

წარმოვთქვამთ ყოველი ევეკარისტიის დროს. და დიდების ასეთი საგალობელი იმდენად ჩვეული ხდება, რომ აღარც კი ვუფიქრდებით მის აზრს. ამ ჰიმნის შესრულებისას, ჩვენ ვუერთდებით ანგელოსთა დასს, ჩვენი ღმერთის სიწმიდესა და სიდიადეს რომ განადიდებენ. მაგრამ რას ნიშნავს, როცა ღმერთს ვუწოდებთ წმიდას და რატომ ვგალობთ ამ სიტყვებს ასე ხშირად? *Sanctus* (ლათ. „წმიდა“) - ძველისძველი ჰიმნია, რომლის ფესვებიც რწმენაში ჩვენი უფროსი ძმების - ებრაელების რელიგიურ ტრადიციაში დგეს. სინამდვილეში ის ჩვენთვის ცნობილ ებრაულ ადათებზე უფრო ძველია, რადგან ეყრდნობა წინასწარმეტყველ ესაიას ხილვას ქრისტეშობამდე მერვე საუკუნეში. ერთხელ ესაიას წარმოუდგენელი რამ შეემთხვა: ტაძარში ლოცვისას მან იხილა თავად ღმერთი, ზეციური დიდებით მოსილი, ანგელოსთა გარემოცვაში, რომლებიც გალობდნენ: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ცაბაოთ!“ (ეს. 6, 3). ანგელოსთა მიერ ეს განდიდება იმდენად ხმამაღლი იყო, რომ საძირკვლიანად შეარყია ტაძარი. ამ შემთხვევამ სულის სილრმემდე შეძრა ესაია და მთელი მისი ცხოვრება შეცვალა. მისთვის გამოვლენილ ღვთის სიწმიდის ბრწყინვალებაში წინასწარმეტყველმა თავი ცოდვილად იგრძნო: „გაიმე! დავიღუპე, რადგან ბაგეუწმიდური კაცი ვარ მე და ბაგეუწმიდურ ხალხს შორის ვცხოვრობ“ (ეს. 6, 5).

მაგრამ ღმერთი, ესაიას რომ გამოეცხადა, გულ-მოწყალე აღმოჩნდა და სერაფიმი გაგზავნა, რათა წინასწარმეტყველი ცოდვათაგან განეწმიდა. ამ გა-მოცდილებამ იმდენად შთაგონა იგი, რომ, როცა ღმერთმა ჰკითხა: „ვინ წარვგზავნო?“, - მან მზადყ-ოფნით უპასუხა: „მე წარმგზავნე!“ (ეს. 6, 8). ესა-იას ხილვით ცხადდება დიადი საიდუმლო ღვთისა, რომელიც არ განიკითხავს ცოდვილს, არამედ მოწყ-ალედ გადმოჰყურებს მას და იესო ქრისტეში აუნ-ყებს: „წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი“ (მათ. 12, 7). მას სწყურია, ჩვენი მსახურების საშუალებით, მიმადლოს სიწმიდე თითოეულს, ვინც „ირწმუნებს და მონათლება“ (მარკ. 16, 16). „სიწმიდე“ კი ყველ-გან ძირითადი სიტყვაა. ჯერ განვიხილოთ, როგორაა განმარტებული სიწმიდის ცნება წმიდა წერილში, შემ-დეგ კი გავეცნოთ პაპ ფრანცისკეს თვალსაზრისს.

სიწმიდის ბიბლიური გაგება

სიტყვა „წმიდა“ მომდინარეობს ებრაული სიტყვი-დან *qadosh*, რაც ნიშნავს რაღაც განცალკევებულს ყოველდღიურ საგანთაგან. როდესაც ვამბობთ, რომ ღმერთი არის წმიდა, ვამტკიცებთ, რომ იგი ჩვენგან განსხვავებულია და იმდენად აღმატებული ჩვენზე თავისი სრულყოფილებით, ძალითა და დიდებით, რომ იმსახურებს უზენაეს პატივისცემას. სამწე-აროდ, გაცილებით ადვილად შეგვიძლია ვისაუბროთ ადამიანთა სიწმიდეზე, და დავივიწყოთ, რომ ნიმუში და იდეალი სიწმიდისა, უწინარესად, თავად ღმერ-თია. ძველ აღთქმაში არაერთგზისაა გაცხადებული ღვთის სიწმიდე. მენამული ზღვიდან გამოსვლის შემდეგ მოსე თავის საგალობელში ასე მიმართავს შემოქმედს: „ვინაა შენი სადარი ღმერთთა შორის, უფალო? ვინაა შენი სადარი სიწმიდით, დიდებულო?“ (გამ. 15, 11). ისრაელიანებს ეკრძალებოდათ კიდეც მიახლებოდნენ მთას, სადაც გამოცხადდა წმიდა ღმერთი (იხ. გამ. 19, 21-22). როდესაც სინაის მთაზე მოევლინა უფალი, მისმა სიწმიდემ ისე გაასხივოსნა სახე მოსესი, რომ იგი იძულებული იყო დაეფარა პირისახე, რათა არავის შეშინებოდა (იხ. გამ. 34, 29-30). წმიდა წერილი აცხადებს, რომ ღვთის სიყვარუ-ლი წმიდაა: ღმერთს თავისი ყოველი ქმნილებისთვის მხოლოდ სიკეთე სურს. მისი ერთგულება წმიდაა: ის არასდროს მიატოვებს თავის ხალხს. მისი სამ-სჯავროც კი წმიდაა, რამდენადაც იგი მუდამ ჭეშ-მარიტია, მუდამ განწმედისა და განკურნებისაკენ მიგვიძლვის. ეს წმიდა და „სხვა“ ღმერთი მოგვევ-ლინა და დაემკვიდრა ჩვენ შორის როგორც ადამი-ანი. იესო, „უხილავი ხატება ღვთისა,“ გახდა ერთი ჩვენგანი, რათა მიგვაახლოს ღვთის სიწმიდეს და „წარგვადგინოს თავის წინაშე წმიდები, უბინონი და უბრალონი“ (კოლ. 1, 22).





ფრა პეტრო ანჯელიკო
უფლის ფერისცვალება (1441-43)

სან მარკოს ეროვნული მუზეუმი, ფლორენცია (იტალია)

სიწმიდე იესო ქრისტესი

ქრისტეს სიწმიდე აბსოლუტურად უნიკალურია. იგი არ აირეკლავს ღვთის სიწმიდეს, იესო წმიდაა თავისი არსით. მაგალითად, ზემოხსენებულ ნაწყვეტში გამოსვლის წიგნიდან სწორედ ღვთის მყოფობამ გაასხივოსნა მთა და გააპრენინა მოსეს პირისახე. ანუ მან, მსგავსად მთვარისა, აირეკლა ღვთაებრივი ნათელი. უფალი იესო ხომ თავადაა მზე. ქრისტეს მრავალ თანამედროვეს ეჭვი შეჰქონდა მის სიწმიდეში, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სწამდათ. მაგალითად, თავდაპირველად იოანე ნათლისმცემელს არ სურდა იესოს მონათვლა, რადგან მიხვდა, რომ მის სანდლებზე თასმის შეხსნის ღირსიც კი არ იყო, არათუ მონანიების საიდუმლოს აღსრულებისა (იხ. მათ. 3, 13; იოან. 1, 26-27). მაცხოვრის სიწმიდის მოწმენი გახდნენ უწმიდური სულებიც. მისი ყოფნით შეძრწუნებული, ისინი აღიარებდნენ, რომ ის არის „ღვთის წმიდა“ და გარბოდნენ (იხ. ლუკ. 4, 33-35). იესო თავის სიწმიდეს ავლენდა ყველაფერში, რასაც კი იქმოდა. მისი სასწაულები და განკურნებანი, სიტყვა და მოქმედება ცხადად მიანიშნებდა იმაზე, თუ ვინ არის იგი. ფერისცვალების მთაზე ქრისტეს ღვთაებრივი სიდიადის ბრწყინვალებამ გააოცა პეტრე, იაკობი და იოანე (იხ. მარკ. 9, 1-9). მრავალმა მონაფეტმ მიატოვა იესო, რომლებმაც არ მიიღეს მისი სწავლება ევქარისტის შესახებ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დარჩნენ, რადგან ხედავდნენ მოძღვრის სიწმიდეს. „ჩვენ ვიწამეთ და შევიცანით, რომ შენ ხარ ქრისტე, ღვთის წმიდა“, - განუცხადა პეტრემ (იოან. 6, 69). ქრისტეს სიწმიდის ფონზე პირველი მოწაფეები აღიარებდნენ სხვა რამესაც - თავიანთ ცოდვიანობას. როდესაც პეტრე მოწმე გახდა იესოს სიტყვით წარმოუდგენელი თევზჭერისა, მუხლებზე დაეცა და წამოიძახა: „გამშობდი უფალო, ვინაიდან ცოდვილი კაცი ვარ“ (ლუკ. 5, 8). მაგრამ, როგორც ესაიას შემთხვევაში, პეტრეს ცოდვიანობამ არ უკუაქცია ღმერთი. პირიქით, მან დაამშვიდა მომავალი მოციქული: „ნუ გეშინია, ამიერიდან კაცთა მებადური იქნები“ (ლუკ. 5, 10). ამგვარად, ღვთაებრივი მადლის ძალით ცოდვამ კი არ გადაფარა სამოციქულო საქმიანობა, არამედ განადიდა ღვთაებრივი გულმოწყალება. განსაკუთრებით სრულყოფილი სახით გამოავლინა ქრისტემ თავისი სიწმიდე სიკვდილისა და აღდგომის საპასექო საიდუმლოში. „ჩემს თავს განვწმედ მათთვის, რათა ისინიც წმიდანი იყვნენ ჭეშმარიტებაში“, - ლოცულობდა იგი საიდუმლო სერობის ჟამს (იოან. 17, 19).

იესო ქრისტე - წყარო ჩვენი სინმიდისა

უძველესი დროიდან დღემდე ღმერთი კვლავ მოუხმობს თავის სალხს, ყველა ჩვენგანს, სინმიდისაკენ. მან ამოგვარჩია, გამოგვყოფა სიყვარულით გაერთიანდა მათთან, ვინც ის მიიღო. უფალს სურს, რომ მისი ეკლესია იქცეს კურთხევად მთელი სამყაროსათვის. ისევე, როგორც მისმა მყოფობამ გააპრწყინა მოსეს სახე, ღვთის მადლს ძალუძს შეგვცვალოს ჩვენც ადამიანური ღირსებისა და სინმიდის მონიჭებით. რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის? მხოლოდ ერთი - მივიღოთ ეს მონიდება და ვუპასუხოთ მას. უფალი მოგვინდებს: „ნმიდა იყავით, რადგან ნმიდა ვარ მე, უფალი, ღმერთი თქვენი“ (ლევ. 19,2). შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სინმიდის მიღწევა ძალზე ძნელია. და მართალიცაა! ადამიანისთვის ეს შეუძლებელია. მაგრამ არა ღმერთისთვის! იესო ქრისტე ხომ სწორედ ამისთვის მოვიდა ამქვეყნად. ებრაელთა მიმართ ეპისტოლებში ნათქვამია, რომ იესო ქრისტეს ჯვარზე მსხვერპლს ძალუძს განგვიპანოს ცოდვათაგან, განწმიდოს ჩვენი სინდისი და გვაკურთხოს (იხ. ებრ. 9, 26; 13,12; 9,14). მაგრამ ეს არ ხდება თავისთავად. ნათლობისას ღმერთი განგვწმედს პირველქმნილი ცოდვისაგან, და მისი სინმიდე ითესება ჩვენს გულებში, როგორც თესლი (იხ. 1 კორ. 1, 30). მაგრამ იმისთვის, რომ ეს გამოვლინდეს, მონიდებული ვართ, დღითიდლე მოვექცეთ ღვთის მადლის ძალით, რაც განსაკუთრებით მომადლებული გვაქვს ეკლესიის საიდუმლოებებში.

სული წმიდა - კურთხევის პროცესის კატალიზატორი

ღმერთმა კარგად უწყის, რამდენად რთულია ჩვენთვის სინმიდისაკენ მონიდების ცხოვრებაში განხორციელება. ცოდვა გვიზიდავს, გვიმონებს და ძალას გვართმევს. ამიტომ გვჭირდება ასე ძალიან სული წმიდა. მხოლოდ მისი შემწეობის წყალობით ძალგვიძს ცოდვის უარყოფა და ღვთის მცნებათა მიხედვით ცხოვრება. სული წმიდა დაუღალავად გვახსენებს ღვთის მყოფობას, მიგვიძლივს და გვმოძღვრავს. და მხოლოდ მისი შემწეობით შევიცნობთ, რომ ჩვენ ზეციური მამის ძენი და ასული ვართ. პირველი ქრისტიანები გვასწავლიან სული წმიდასთან თანამშრომლობასა და სინმიდეში ზრდას. ისინი აცნობიერებდნენ და იღებდნენ თავიანთ არასრულყოფილებას. მათაც ჰქონდათ თავიანთი ნაკლი და სისუსტე, ისევე, როგორც ჩვენ, მაგრამ მაინც გარდაქმნილი იყვნენ მადლით, და სული წმიდა აძლევდა მათ ახალ არსს და უნარს, მიეღნიათ სინმიდისათვის. დღითიდლე, ისინი სულ უფრო მეტად იქმნებოდნენ რჩეულ მოდგმად, სამეფო სამღვდელოებად, წმიდა ერად (იხ. 1 პეტრ. 2, 9). რანაირად? როგორც მოციქულთა საქმეების წიგნი მონმრბის, ქრისტიანები „იყვნენ გამუდმებით მოციქულთა მოძღვრებაში, თანამოზიარეობაში, პურის გატეხასა და ლოცვებში“ (საქმე 2, 42). და ახლა, ოცი საუკუნის შემდეგ, ჩვენი გზა სინმიდისაკენ თითქმის არ შეცვლილა. ჩვენ მონიდებული ვართ, გავიზარდოთ სინმიდეში, ღვთის სიტყვის კითხვითა და მისი გააზრებით, ევქარისტიაში ქრისტესთან შეხვედრით, ლოცვაში ღვთის მყოფობის ძიებით და ერთმანეთისადმი გულწრფელი სიყვარულით. შემდგომ ორ სტატიაში განვიხილავთ პაპ ფრანცისკეს სწავლებას იმის შესახებ, თუ როგორ განვახორციელოთ მონიდება სინმიდისაკენ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.



როგორ მივაჩვიოთ ბავშვი სიკეთის კეთებას?

„აღზარდე ყმაწვილი მისი გზის მიხედვით, კიდევაც რომ მოხუცდეს, არ გადაუხვევს მისგან“.

იგავნი 22:6

ბავშვის სწორად აღზრდა საპასუხისმგებლო და ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, მშობელი კი ამ პროცესში უდიდეს როლს თამაშობს. მშობელმა დიდი დრო უნდა დაუთმოს შვილთან ურთიერთობას, მასთან ერთად თამაშსა და სწავლას. იმისათვის, რომ ბავშვი კეთილი და მზრუნველი იყოს, ყურადღება უნდა მივაქციოთ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს.

პრიორიტად უნდა ვაქციოთ სკოლის ზრუნვა

მშობლები მიდრეკილნი არიან იმისაკენ, რომ პრიორიტეტად აქციონ შვილების ბედნიერება და მიღწევები და ნაკლებ ყურადღებას ამახვილებენ სხვა ადამიანთა ცხოვრებაში მათ თანამონანილეობაზე. ბავშვებმა უნდა შეძლონ საკუთარი და სხვისი მოთხოვნების გათანასწორება. მაგალითად, ბურთის მიწოდება მეგობრისთვის, ან სულაც თანაკლასერლის დაცვა მოძალადე მოსწავლებისგან. როგორ უნდა მივაღწიოთ ასეთ შედეგს? მშობლებმა ბავშვებს ხშირად უნდა შეახსენონ, რომ სხვაზე მზრუნველობა ძალიან მნიშვნელოვანია.

ნაცვლად იმისა, რომ თქვათ: „ყველაზე მთავარი ის არის, რომ შენ იყო კმაყოფილი“, თქვით ასე: „ყველაზე მთავარია ის, რომ შენ კეთილი ხარ.“ ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მოზარდები ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდნენ სხვებს, მიუხედავად იმისა, გადაღლილები და გაბრაზებულები არიან თუ არა. ჰქითხეთ მასწავლებელს თქვენი შვილის მეგობრებთან ურთიერთობის შესახებ და, ასევე, იმითაც დაინტერესდით, შემთხვევით ვინმეს ხომ არ ჩაგრავს.



ჰავაზვას ზრუნვისა და გადლიერების გამოსატვის საშუალება უნდა მივცეთ

ჩვენ მადლიერების მაგალითები უნდა ვიყოთ ბავშვებისთვის. ყოველთვის „ვმადლობ ჩემს ღმერთს“ (ფილიმონი 1:4). ბავშვებს უნდა პქონდეთ ღმერთისა და მზრუნველი ადამიანებისადმი მადლიერების გამოხატვის საშუალება. ჩვენც მუდამ თანაგრძნობის, სიკეთისა და პატიებისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ. ეს იქნება მაგალითი ბავშვებისთვის და კარგ ნაყოფსაც გამოიღებს. მადლიერება ყოველდღიური რიტუალი უნდა გახდეს, სადილობისას, ძილის წინ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ეს ბავშვებისთვის ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს. ასევე, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ბავშვი კეთილგანწყობილი და ზრდილობიანი იყოს ყველას მიმართ.

გვირჩევა — საუკეთესო აგალითი

იმისათვის, რომ შვილს მაგალითით მისცეთ, თავად უნდა იყოთ კეთილი, მზრუნველი და პატიოსანი. ბავშვების ნდობა და

პატივისცემა რომ დაიმსახუროთ, საკუთარი დანაშაულისა და ნაკლოვანებათა აღიარება უნდა შეგეძლოთ. ამასთან ერთად, ბავშვის გაება და აზრის მოსმენაცაა საჭირო. დაეხმარეთ გაჭირვებულ ადამიანებს და სიკეთის კეთებაში დაიხმარეთ ბავშვებიც. ბიბლია გვასწავლის:

„ნუ დაუჭერ სიკეთეს მას, ვისაც ერგება, როდესაც შენს ხელს ძალუძს ამის გაკეთება“..


იგავნი 3:27

დაეხმარეთ ბავშვს უარყოფითი გრძნობების დაძლევაში. ბრაზი, შური — ამ გრძნობების არსებობა ადამიანს ხელს უშლის, იფიქროს სხვა პიროვნებაზე. თქვენი დახმარებით, ბავშვს ასეთი ემოციებისადმი სწორი დამოკიდებულება უნდა ჩამოუყალიბდეს. აივსეთ სიყვარულით და გაუზიარეთ დადებითი ემოციები შვილებს, რადგან ბიბლია გვასწავლის:

„ადამიანის რისხვა არ ქმნის ღვთის სიმართლეს“.

იკავბი 1:20

qtv.ge



„წმიდანი...

ნმ. სარმეან კათალიკოსი - მოხსენიების დღე - 3 სექტემბერი

კათალიკოსი საქართველოს ეკლესიას მესაფეობდა 767-779 წლებში. მისი მამამთავრობა საქართველოში არაბთა ბატონობას დაემთხვა. არაბები სასტიკად დევნიდნენ ქრისტიანებს, ავინწროებდნენ ღვთისმსახურებს, ყველგან მაპმადიანობის დამკვიდრებას ცდილობდნენ, მაგრამ, მიუხედავად მისა, სარმეან კათალიკოსს მამათავრობის დროს თვით ამირას საბრძანებელ ქალაქ თბილისშიც კი მრავალი ეკლესია მოქმედებდა. ღვთის შიშით, სიმდაბლით, სარწმუნოებითა და სიყვარულით შემკული მღვდელმთავარი სიბრძნით განაგებდა თავის სამწყსოს: შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, იქმნებოდა უძვირფასესი სასულიერო ხასიათის ლიტერატურა.



ნმ. თადეოზ (თათე) სტეფანემიდელი - მოხსენიების დღე - 3 სექტემბერი

წმიდა თადეოზი ქართლში მოვიდა ანტიოქიიდან VI საუკუნის შუა წლებში, იოანე ზედაზნელთან ერთად. იგი ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში, რომელიც იქვე, ზედაზნის მთის ძირში, ააშენა. შემდეგ წლევის მთაში, ახლანდელი კასპის მახლობლად, დაუარსებია სტეფანენიდის მონასტერი, სადაც დასაფლავებულია. მას მიეწერება აგრეთვე ურბნისში წმ. სტეფანეს ეკლესიის აშენება.

ნმ. მონამე შუშანიკი - მოხსენიების დღე - 10 სექტემბერი

წმიდა შუშანიკი სომეხთა მხედართმთავარ ვარდანის ასული იყო. ის ცოლად ჰყავდა ქართლის პიტიახში, ვარსექენს, რომელიც ქრისტიანი იყო. ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი წმიდა შუშანიკი ბავშვობიდანვე ღვთის მოშიშებითა და სიყვარულით გამოირჩეოდა. ვარსექნი სპარსეთს წავიდა და „რაითამცა სათნო ეყო მეფესა“, ცეცხლთაყვანის მცემლობა მიიღო. მან შაპს სიტყვა მისცა, ცოლსა და შვილებსაც მოვაქცევო. როდესაც შუშანიკმა გაიგო ეს, მიატოვა მეუღლის სარეცელი და სასახლეში თავისითვის, განცალკევებულად დაიწყო ცხოვრება. ვარსექნმა ამით თავი შეურაცხყოფილად მიიჩნია, თან თავისი განზრახვაც, შუშანიკის მოქცევა, ვერ განახორციელა, ამიტომ სამჯერ აუტანელი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას და ციხეში ჩასვა, სადაც შუშანიკმა დაყო ექვსი ნელინადი და მეშვიდე წელს, 475 წლის 17 ოქტომბერს, დიდი ღვანილისა და მოთმინებისაგან ძალამიხდილი, აღესრულა იქვე, ცურტავს.

წმიდა დედოფლის მონამებრივი ცხოვრება აღწერა იაკობ ხუცესმა, სასახლესთან მეტად დაახლოებულმა პირმა, რომელიც იყო კარის მღვდელი და მოძღვარი შუშანიკისა. იგი ერთ წამსაც კი არ მოშორებია თავის სულიერ შვილს აუტანელი წამებისა და გაჭირვების დროს, მასთან იყო სასახლეშიც, ეკლესიაშიც, ციხეშიც და ანუგეშებდა და ამხნევებდა მას.

ნმ. ქეთევან წამებული - მოხსენიების დღე - 26 სექტემბერი

წმიდა ქეთევან დედოფალი კახეთის მეფის, დავით I-ის მეუღლე იყო. 1606 წელს შაპ-აბას I-მა კახეთის მეფედ დაამტკიცა ქეთევან დედოფალის ვაჟი თეიმურაზ I, მაგრამ ვინაიდან თეიმურაზი სულ ახალგაზრდა იყო, სამეფო საქმეებს ქეთევან დედოფალი განაგებდა; 1614 წელს თეიმურაზმა, შაპის მოთხოვნით, მას განჯაში მძევლად გაუგზავნა უმცროსი ვაჟი ალექსანდრე და დედა. ქეთევან დედოფალი განჯიდან აშრაფს გადაიყვანეს, 1620 წელს კი შირაზს გაგზავნეს. თეიმურაზმა



საქართველოში “




რუსეთის დახმარებით სცადა ქეთევან დედოფალის გათავისუფლება. მაშინ შაჰმა შირაზის ბეგლარეგს ქეთევან დედოფლის გამაჰმადი-ანება ან მოკვლა უძრავა. ქეთევან დედოფალმა გამაჰმადიანებაზე მტკიცე უარი განაცხადა. ამის გამო იგი საშინელი წამებით მოკლეს 1624 წლის 26 სექტემბერს.

უსჯულოებმა ენით აუწერელი სისასტიკით აწამეს ქართველთა წმიდა დედოფალი: გახურებული რვალის ქვაბი დაამხეს თავზე, მარ-ნუებით დააგლიჯეს ძუძუები, გავარვარებული შამფურები გაუყარეს მკერდიდან ზურგში, ფრჩხილები დააძრეს, ხორცი დააგლიჯეს, ლურსმნიან ფიცარზე დააგდეს და ზედაც ლურსმნიანი ფიცარი დააჭედეს, ბოლოს გახურებული ბარით შუბლი გაუპეს. გამძვინვარებულმა ჯალათებმა ნადირთა სათრევად დააგდეს წმიდა დედოფლის გვამი, მაგრამ ღმერთმა მოავლინა სასწაული - წმიდანის ნეშტს ნათელი დაადგა.

პორტუგალიელმა მისიონერებმა, პატრმა ამბროზიომ და მისმა მეგობრებმა, რომლებიც დაესწრნენ დედოფლის წამებას, რამდენიმე დღეში ამოთხარეს ქეთევანის საფლავი და მოიპოვეს წმიდანის ნეშტი. მაგრამ მისი ჩატანა საქართველოში მხოლოდ 1628 წლის ივნისის დამდეგს მოხერხდა, თითქმის სამი წლის შემდეგ. ქეთევან დედოფლის წმიდა ნაწილები გაგზავნილ იქნა ასევე ინდოეთში (გოას დე-გრასის მონასტერი), ვატიკანში (წმიდა პეტრეს ტაძარი) და ბელგიაში (ნამიურის ტაძარი). საქართველოში პატრმა ამბროზიომ მეფე თეიმურაზს პირადად გადასცა ქეთევანის წმიდა ნაწილები, რომელიც ალავერდის საკათედრო ტაძარში იქნა დაკრძალული.

წმ. იოსებ ალავერდელი - მოხსენიების დღე - 28 სექტემბერი

წმიდა იოსებ ალავერდელი, საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ასურელი მამა, VI საუკუნის შუა წლებში მოვიდა ანტიოქიიდან იოანე ზედაზნელთან ერთად. იგი ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში, შემდეგ მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირას დაარსა ალავერდის მონასტერი. მისმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო კახეთის ამ მხარეში ქრისტიანობის განმტკიცებას. იგი გარდაიცვალა 570 წელს და დაკრძალულია მის მიერვე აგებულ წმიდა გიორგის ეკლესიაში.



წმ. მოწამენი ისააკი და იოსები - მოხსენიების დღე - 29 სექტემბერი

წმიდა მოწამენი ისააკი და იოსები დედით მართლმორწმუნენი იყვნენ, მამა კი მაჰმადის სჯულის მიმდევარი ჰყავდათ. დედა შვილებს ფარულად ქრისტეს მცნებებით ზრდიდა. იმდენად დიდი იყო ძმებში ქრისტიანულად ცხოვრების სურვილი, რომ მათ ბიზანტიაში წასვლა და იქ ცხოვრება გადაწყვიტეს. ამ დროს ბიზანტიას კეთილმსახური მეფე ნიკიფორე ფოკა განაგებდა. ძმებმა ფარულად წერილი მისწერეს კეისარს და თავშესაფარი სთხოვეს. ნიკიფორემ პატივით მიიღვია მთელ თეოდოსიპოლელ (კარნულ) დიდგვაროვანთა წრეში გამორჩეული და პატივცემული ძმები. თეოდოსიპოლის ამირამ შეიტყო ძმების განზრახვა, რომლებიც არ შეშინდნენ და ალიარეს, რომ ბიზანტიაში წასვლის მიზეზი მათი ქრისტიანობა იყო. ჭაბუკთა კადნიერებამ ამირა განარისხა და ბრძანა, მახვილით განეგმირათ წმიდა ისააკი და იოსები. ისინი მოწამებრივად აღესრულნენ 808 წელს. ქალაქის ეპისკოპოსმა და სამღვდელოებამ პატივით მიაბარეს წმიდათა გვამები მინას.

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

(საბჭოთა პერიოდი 1921-1991)

1980-იანი წლები

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1980-იანი წლების დასაწყისში, ახალციხეში, სასაზღვრო ზონის მახლობლად, წმ. მარინეს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნა, რამაც გაახარა როგორც მართლმადიდებლები, ისე კათოლიკები. ეს მოვლენა მნიშვნელოვანი პრეცედენტია იმისა, რომ მორჩმუნეთა აქტიურობით საბჭოური უძრაობის სანაში ახალი ტაძრების ამოქმედება გახდა შესაძლებელი. სწორედ ამ როგორ პერიოდში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდენტი ხდება, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლას.

80-იანი წლებიდან ილია II არაერთ ეკლესიას ესტუმრა, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი, მაინც, ვატიკანში, იოანე პავლე II-სთან ვიზიტი იყო. მსოფლიო პრესის ფურცლები (ცხადია, საბჭოთა პრესის გარდა) ორი მღვდელმთავრის გულთბილ შეხვედრას აშენებდა. ყველა ექსპერტი ერთხმად აღნიშნავდა, რომ იოანე პავლე II-ს არცერთი სტუმარი ასე გულითადი სიყვარულით არ მიუღია და არც არავინ გამოუცილებია ვატიკანის რეზიდენციის კიბებამდე, როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

1985 წელს იოანე პავლე II გამოსცემს თავის ცნობილ ენციკლიკას „*Slavorum Apostoli*“ („სლავთა მოციქულები“), რომელიც სლავთა განმანათლებლის, წმ. მეთოდეს აღსრულების 1100 წლისთვის მიეძლვნა. ენციკლიკაში საზღამულია, რომ აღმოსავლეთ ევროპის განმანათლებლი წმინ-

დანების, კირილესა და მეთოდეს ისტორიული მისია კონსტანტი-ნობოლის პატრიარქისა და რომის პაპის კურთხევით განხორციელდა, და რომ რომის კათოლიკე ეკლესიის წვლილი „ყოველთა სლავთა“ გაქრისტიანებაში უდავოა. სწორედ ამიტომ, წმიდანები კირილე და მეთოდე, წმ. ბენედიქტე ნურსიელთან ერთად, ევროპის მფარველებად გვევლინებიან. ეს იდეა აღმოსავლურ-დასავლური ეკუმენიზმისა და ორი ეკლესიის ერთიანობის საფუძვლად იქცა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის საპატრიარქო სრულიად საპირისპიროდ აღიქვა იოანე პავლე II-ის ამ ენციკლიკას იდეა. მოსკოვის საპატრიარქოს დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პაპის სურვილმა, 1985 წლის ივლისში მოელოცა წმ. მეთოდეს საფლავი მორავიაში (იმდროინ-დელი ჩეხოსლოვაკიის რესტუ-ლიკა). მოსკოვის საპატრიარქოს დაუინებული მოთხოვნით სსრკ-ს მთავრობამ აიძულა ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლება, უარი ეთქვა პაპისათვის ვიზის გაცემაზე. რუსეთის მასმედიამ სულ მალე, რომის პაპის კრიტიკის ახალი აგრესიული კამპანია ნამოიწყო, ხოლო რუსეთის ეკლესიამ წმ. მეთოდეს 1100 წლისთავისადმი დაგეგმილი საზეი-მო ღონისძიებები გახმაურების გა-რეშე, უფერულად აღნიშნა. ალბათ, აღარ ისურვეს კათოლიკეთა მიერ ევროპის მფარველად შერაცხული წმიდანისადმი დიდი ყურადღების გამოჩენა. ამავე დროს, დასავლეთ უკრაინაში, ბერძნული წესის კათოლიკე მორჩმუნები აქტიურად იწყებენ XX საუკუნის 40-იან წლებში ჩამორთმეული და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისათვის გადაცემული ტაძრების დაპრუნებისათვის ბრძოლას. ყოველივე ეს კი საბჭოთა ხელისუ-

ფლებისა და მოსკოვის საპატრი-არქოს ანტიკათოლიკურ განწყობას აძლიერებს, რაც მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების წარმომადგენლებზეც აისახებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, ისტორიულად, კათოლიკური ეკლესიისა და კათოლიკების მიმართ დადებითი განწყობა იყო, მოსკოვის გავლენით, ადგილობრივი ხელისუფლება მორჩმუნეთა აქტივობებს მკაცრად ზღუდავდა.

საქართველოს მოსახლეობა, 1985-86 წლებში, ბრეუნევის ეპო-კის „უძრაობის“ მდგომარეობიდან ჯერ გამოსული არაა, აღბათი იმ მიზეზით, რომ გორბაჩივის ექსპერიმენტებს ეჭვით უყურებდნენ. მოსალოდნელი სიახლეების მოახლოებას თბილისში უფრო გრძნობდნენ, ვიდრე პერიფერიებში და გამოლვიდების ტალღაც დედაქალაქიდან დაიწყო.

სამხრეთ საქართველოში, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ყველა არსებული კათოლიკური სატაძრო ნაგებობა დასუფთავებული და მოვლილი იყო. კოლმეურნების საწყობების კვალიც აღარ ჩანდა. მორჩმუნებმა მათი ნელ-ნელა გარემონტება დაიწყეს. ფაქტობრივად, ისინი იკრიბებოდნენ, ლოცულობდნენ და საეკლესიო დღესასწაულებსაც ხვდებოდნენ. ხელისუფლება ახალი რეალობის ჩინაშე აღმოჩნდა. ამას სამართლის ენაზე „არარეგისტრირებული, მა-გრამ ფაქტობრივად მოქმედი რელიგიური გაერთიანებები“ ერქვა. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამგვარი სტატუსით მხოლოდ კათოლიკური ყოფილი ტაძრები მოიხსენიებოდა, რადგან სხვა კონფესიებს მსგავსი აქტივობა არც გააჩნდათ. მართალია, არალეგალურად მოქმედი პროტესტანტული საკრებულოებიც არსებობდნენ, მაგრამ მათ სამლოცველო ნაგე-



ბობები არ გააჩნდათ და მორიგეობით, ფარულად იყრიბებოდნენ ამათუ იმ მორწმუნის ბინაზე.

1986 წელს თბილისში საქმიანი ვიზიტით ჩამოსული საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინ ხარჩევი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, გორბაჩივის „ახალი კურსიდან“ გამომდინარე, აცხადებს, რომ „მორწმუნები ისეთივე საბჭოთა მოქალაქეები არიან, როგორც სხვები და უნდა შევევეუოთ იმ აზრს, რომ ეკლესია იქნება და არამორწმუნებსა და მორწმუნებს ერთად მოგვინეუს ცხოვრება“. ეს განცხადება ხელისუფლებისათვის ზუსტი გზავნილი იყო: რათა შეეცვალათ პოლიტიკა რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებაში, და რომ კანონდარღვევით მოქმედ სამლოცველოებს სჯობდა სამართლებრივ სივრცეში მოქმედი რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანება. მართალია, საბჭოთა ნომენკლატურისათვის, რომლისთვისაც ყველაზე მიუღებელი და ძნელად წარმოსათხებული პლურალიზმია მართლაც უნდა მოიხდოს ამ მორიგეობისათვის.

გასაგები იყო. მართლაც, საჯაროობისაგან განსხვავებით, საბჭოთა პიუროკრატიამ შეხედულებათა პლურალიზმი ვერასდროს გაითავისა. კრემლი აღარ მაღავდა, რომ 1988 წელს საზეიმოდ აპირებდა რუსეთის მონათვლის 1000 წლისათვის აღნიშვნას. თუ ყველა ამ ინფორმაციას შევაჯერებთ, ცხადია, რელიგიური ორგანიზაციების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა მართლაც ახალ ფაზაში შედიოდა და დროი აუგია აქტიურობისა.

პატრი იან სნეჟინსკის პირადად ვთხოვე ორგანიზება გაეწია პროვინციებში მორწმუნეთათვის, რათა მათ კანონის ფარგლებში მოეთხოვათ კონსტიტუციური უფლება - რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, მით უმეტეს, რომ 1986 წლისათვის გორბაჩივის „პერესტროკის“ კურსი მოუნიდებდა საბჭოთა მოქალაქეებს მათი კონსტიტუციური უფლების აღსრულებისაკენ. მართლაც, საბჭოთა კანონმდებლობა სრულიადაც არ ზღუდავდა რელიგიური ორგანიზაციების დაფუძნებას, მხოლოდ ამ კანონმდებლობის შესახებ არც არავინ იყო სრულად ინფორმირებული. რელიგიური

ჯგუფის ან საკრებულოს რეგისტრაციისა და ადრე ჩამორთმეული სატაძრო ნაგებობის დაპრუნების მექანიზმი ფართო მასებისთვის გასაიდუმლობული თუ არა, ცნობილი ნამდვილად არ იყო. ათ მორწმუნეს შეეძლო რელიგიური ჯგუფის რეგისტრაცია, ხოლო ოცი მორწმუნის ხელმონერა სავსებით საკმარისი იყო, რათა რაიონულ ხელისუფლებას რელიგიური ორგანიზაციის (საკრებულოს) რეგისტრაციის მსვლელობისათვის გზა მიეცა; შემდგომ კი, სატაძრო ნაგებობაც უსასყიდლოდ გადაეცათ მუდმივ სარგებლობაში. ამ მოთხოვნას საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს ბიუროკრატიული აპარატი რამდენიმე თვის განმავლობაში დააკმაყოფილებდა, ოღონდ ადგილობრივი ხელისუფლება თავს იკავებდა რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემაზე. ადგილობრივ მოხელეებს სამართლიანად ეშინოდათ ახალი რელიგიური ჯგუფის ან სამრევლოს გახსნისა, რადგან კომუნისტური პარტიის მხრიდან შეიძლება საყვედური მიეღოთ, „ანტირელიგიური საქმიანობის ჩაშლისათვის“.

ნუგზარ პარდაველიძე



საზაფხულო

2020 წელი ყველა ჩვენგანისთვის განსაკუთრებული და გამორჩეული აღმოჩნდა. პანდემიამ შეცვალა ჩვენი ცხოვრების სტილი. რამდენიმე თვის განმავლობაში მოგვინია ონლაინ რეზიდენტი მუშაობა. სამზუაროდ, ამ გარემოებამ მძიმე ზეგავლენა იქმნია განსაკუთრებით ახალგაზრდებზე. მას შემდეგ, რაც ნელ-ნელა აღდგა ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმი, ახალგაზრდული ცენტრი შეეცადა, დაეგეგმა და განხორციელებინა სხვადასხვა სახის აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალგაზრდების გააქტიურებას, მათ სულიერ ზრდასა და რწმენაში სიმტკიცეს.

5-9 ივლისს გაიმართა საბავშო ბანაკი გორისა და ბეთლემის სამრევლოებში. მასში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით ორ-მოცდახუთმა ბავშვმა. ბანაკის მთავარი თემა იყო სიკეთე და მადლიერება. ყოველი დღე ორ ნაწილად გვქონდა დაყოფილი, პირველი ნაწილი ბავშვებთან შეხვედრებსა და ჯგუფურ მუშაობას ეთმობოდა, მეორე კი სხვადასხვა სახის აქტივობებს. ყოველი დღე იყო დაგეგმილი და წინასწარ გათვლილი. ბანაკში, ახალგაზრდულ ცენტრთან ერთად, მონაწილეობდნენ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტები.

12-18 ივლისს მოეწყო ახალგაზრდული ბანაკი ხიზაბავრაში (ასპინძის რაიონი), რომლის მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდების სულიერი ზრდა, ურთიერთგამოცდილების გაზიარება, ახალგაზრდებში მოტივაციის გაზრდა. ბანაკში დღის პირველი ნახევარი ეთმობოდა ფიზიკურ შრომას, ვმუშაობდით სხვადასხვა მიმართულებით, ჯგუფებს ჰქონდა კონკრეტული დავალება (ლებვა, დალაგება, ეზოს დასუფთავება და სხვა). დღის მეორე ნახევარში იმართებოდა კონფერენციები, ჯგუფებში მუშაობა და სხვადასხვა გასართობი აქტივობები.

5-8 აგვისტოს გაიმართა საბავშო ბანაკი კახეთის ხიზაბავრაში. მასში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ახალგაზრდები, რომლებიც გეგმავდნენ და ახორციელებდნენ სხვადასხვა აქტივობებს ბავშვებისათვის. ბანაკის მთავარი თემა იყო: „ღმერთი - როგორც ჩვენი მეგობარი“.

10-14 აგვისტოს მოეწყო ახალგაზრდული ბანაკი ვალის სამრევლოში. დღის პირველ ნახევარში ახალგაზრდები მუშაობდნენ ფიზიკურად, ასუფთავებდნენ ტერიტორიას. ყოველ ჯგუფს კონკრეტული დავალება ჰქონდა მიცემული. დღის მეორე ნახევარში კი იმართებოდა სხვადასხვა სახის შეხვედრები და აქტივობები.



განაკები

19-22 აგვისტოს შედგა ფეხით მსვლელობა, მომლოცველობა ნინოშიძიდან ვარგავში. ეს ძველი ტრადიცია დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდებში. ამ მომლოცველობის მთავარი თემა იყო „საქართველოში წმიდანი“. ასევე, მოვინახულეთ სომხურ-კათოლიკური სამრევლოები, შევხვდით ახალგაზრდებს, გვინდა სხვადასხვა შეხვედრები და ურთიერთგამოცდილების გაზიარება.

27 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე გაიმართება ახალგაზრდული ბანაკი კახეთის ხიზაბავრაში, სადაც ახალგაზრდებთან ერთად შევეცდებით შევაფასოთ ზაფხულის აქტივობები და დავგეგმოთ მომავალი წელი.

გვინდა, მადლობა გადავუხადოთ მეუფე ჯუზეპე პაზოტოს, თითოეულ მოძღვარს, ყველა ახალგაზრდას. უფალი გფარავდეთ.

კოსტანტინე აკოცაშვილი



გილოცავთ ახალი
სასწავლო ნლის
დაწყებას!



თბილისური ისეკონია

ნუ გამიხსნი, გეხვეწები, ნაიარევს.

მე ისედაც შენ ყოველთვის მახსოვხარ.

როცა ქარი სევდას ჩუმად გამიქარვებს,

ჩვენს სიყვარულს შევავედრებ მაცხოვარს.

ქუჩა-ქუჩა, ბილიკ-ბილიკ დაგეძებდი,

ეგ ღიმილი დროსთან ერთად მიქრება.

არ მეგონა, უშენობას თუ შევძლებდი,

ცაში ალბათ სხვა შეხვედრა იქნება.

მაშინ ალბათ შენ თავიდან შემიყვარებ,

იქ არ არის დროის ათვლა წამებით.

ნუ მეტყვი, რომ წლებთან ერთად შევიცვალე,

ჩვენ ხომ ფიქრშიც ერთი ჯაჭვით დავებით.

დამიჯერე, ძველებურად პატარა ვარ,

თუმცა წლები ნაწილ-ნაწილ გაიყო.

ნეტავ ისევ ის ალმართი ამატარა,

სადაც ჩვენი შეხვედრები დაიწყო.

ნახვედი და მაინც ჩემში რჩები - ვფიცავ,

ამიტომაც შენით შევკრავ კამარებს.

ჩვენს სიყვარულს იმ პირველი კოცნით ვიცავ,

ბოლო კოცნით მე რომ დამასამარე.

2016

ნანა ციცელაძე
ექიმი-ურნალისტი

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

- | | |
|-------------------------|---|
| 5 სექტემბერი | – წმ. ტერეზა კალკუტელი, გულმოწყალების მისიონერ დედათა დამაარსებელი |
| 8 სექტემბერი | – ყოვლადწმიდა მარიამის შობა, ვალეს საკრებულოს დღეობა, ბათუმის დიდი ეკლესიის დღეობა |
| 11-12 სექტემბერი | – სინოდური კრება თემაზე „საქართველოში... წმიდანნი“; ჩატარდება წეროვანში, კრების დროს აღევლინება მირონის კურთხევის წირვა |
| 13 სექტემბერი | – შესაწირი წმ. მიწისათვის (წითელი პარასკევის ნაცვლად) |
| 14 სექტემბერი | – ჯვართამალება, უნის საკრებულოს დღეობა |
| 15 სექტემბერი | – მგლოვიარე ქალწული მარიამი, არალში შუა ფარეხას ეკლესიის დღესასწაული |
| 16 სექტემბერი | – მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+ 1911) |
| 21 სექტემბერი | – წმ. მათე მოციქულისა და მახარებლის დღესასწაული |
| 26 სექტემბერი | – წმ. ლუიჯი ტეცა, წმ. კამილოს ასულთა კონგრეგაციის დამაარსებელი |
| 29 სექტემბერი | – წმ. მიქაელ, წმ. გაბრიელ და წმ. რაფაელ მთავარანგელოზთა დღესასწაული |

**პოლიტიკის დოკუმენტის პრეზენტაცია: რელიგიური ქონების
რესტიტუციის პოლიტიკა საქართველოში.**

შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

[https://www.facebook.com/tdi.ge/videos/322926918758178/
UzpfSTEwMDAwMDE5NzlwMzU2NzozNzlwMDc5ODk4MDA4NTQ3/](https://www.facebook.com/tdi.ge/videos/322926918758178/)

განსვენება საუკუნო მიანიშვი მათ, უფალო!



ერა ჯანავავილი
* 12. 11. 1938, თბილისი
† 20. 06. 2020, თბილისი



თინა გამულავავილი
* 01. 05. 1931, არალი
† 11. 08. 2020, ახალციხე



ვაჟათაბ ჩითავავილი
* 15. 01. 1942, ვალე
† 04. 08. 2020, ვალე



ნორი აკაციანი
* 08. 01. 1982, ჭავარი
† 26. 06. 2020, ჭავარი



ქათონ თორიანი
* 19. 06. 1925, ქუთაისი
† 02. 07. 2020, ქუთაისი



სოფო განელივავილი
* 05. 09. 1932, ვალე
† 06. 08. 2020, ვალე

მთავარი რედაქტორი: გ. გაბრიელე ბრაგანტინი CSS
სარედაციო კოლეგია: ნუგარ ბარდაველიძე, ვერიკო ნობაძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ დალანიძე, ციცინო ხითარიშვილი
ტექნიკური მსარდაბერი: მღვდ. მიხეილ სურამაგი, თამარ სტეფანიძე
მისამართი: ურნალ „საბას“ რედაქცია, ვია აბესაძის ქ. №4ა 0105, თბილისი, საქართველო;
E-mail: sabamedia@gmail.com; www.sabamedia.net; www.facebook.com/sabamedia/
რეგისტრაციის №1853, დაარსდა 1994 წ. მანანა ანდრიაძის მიერ, მ „საბას“, 2020.